# სამშვიდობო მანიფესტი/Sülh manifesti/Խաղաղության մանիֆեստ/Peace Manifesto

## სამშვიდობო მანიფესტი

უკვე რამდენიმე დღეა, ვაკვირდებით მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ბოლო წლებში ყველაზე ინტენსიური შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებასა და კონფლიქტის ზონაში სამხედრო ვითარების უკიდურეს ესკალაციას. დღეს ორივე სახელმწიფოში გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა და მიმდინარეობს მოსახლეობის მასობრივი საომარი მობილიზაცია. ორივე სახელმწიფო იუწყება მსხვერპლის შესახებ, მათ შორის, სამოქალაქო მოსახლეობას შორის. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა აქტორების კრიტიკული განცხადებების მიუხედავად, სამხედრო კონფლიქტის პოლიტიკური მოლაპარაკებების ჩარჩოში გადაყვანის ნიშნები და მზადყოფნა, სამწუხაროდ, ამ დრომდე არ ჩანს.

ჩვენ, კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ხალხებს, სასტიკი ომების, კონფლიქტებისა და დევნილობის უმძიმესი გამოცდილება გვაქვს. ყველამ საკუთარი ისტორიული გამოცდილებებით გავიაზრეთ, რომ ომი ადამიანებს აწვებათ ზურგზე, მათი განადგურებისა და გაღარიბების ძალა შესწევს და მხოლოდ ტკივილი, ტანჯვა და იმედგაცრუება მოაქვს. ჩვენს რეგიონში არც ერთ ერსა და ეთნოსს ომის შედეგად გამარჯვება და განვითარება არ მოუპოვებია.

სწორედ ამიტომ გვჯერა, რომ ჩვენს რეგიონს მხოლოდ მშვიდობის, მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის პოლიტიკა მოუტანს სტაბილურობასა და განვითარებას. რეგიონის თანმდევი მახასიათებელი მუდმივად იყო მისი მრავალფეროვნება. ულტრა-ნაციონალიზმის, ეთნონაციონალიზმისა და შოვინიზმის პირობებში ეთნოსებსა და ქვეყნებს შორის განსხვავებები ჩვენი განცალკევებისთვის და გათიშულობისთვის არის გამოყენებული, თითქოს ეს განსხვავებები ჩვენს შორის გადაულახავ ბარიერს

წარმოადგენდეს. მნიშვნელოვანია, მრავალფეროვნების ღირებულება გავაცნობიეროთ და გაერთიანებისთვის გამოვიყენოთ. ამასთან, შოვინისტურ რიტორიკაში ხშირად სრულიად გამოტოვებულია ის მახასიათებლები, რაც ამ რეგიონში მცხოვრებ ხალხებს გვაერთიანებს - ჩვენ გაცილებით მეტი გვაქვს საერთო, ვიდრე განმასხვავებელი. ჩვენ მუდმივად ვართ ერთმანეთის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ჰუმანიტარული მხარდაჭერისა და გაზიარების პროცესში და ომის შედეგებს და ტკივილსაც საბოლოოდ ერთად ვიყოფთ ხოლმე. რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში, კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება ცალკეული ქვეყნებისა და მთლიანად რეგიონის განვითარების საწინდარია და ეს მოცემულობა მთავრობებმა არ უნდა დაარღვიონ.

მნიშვნელოვანია მშვიდობის და, შესაბამისად, ადამიანის სიცოცხლის უზენაესი ღირებულება გავიაზროთ მოქალაქეებმაც, არ ავყვეთ ეთნონაციონალიზმის, შოვინიზმისა და მილიტარიზმის გაბატონებულ იდეებს, რომლებსაც ხალხების წინააღმდეგ ბრმა იარაღად, დასამონებლად და გასათიშად იყებენებენ.

ჩვენ, საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის, საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი და სხვა ეთნიკური თემის აქტივისტები, ერთად ვდგებით მშვიდობის, ჰუმანიზმისა და სოლიდარობის მხარეს და ჩვენი რეგიონის მთავრობებს და საერთაშორისო აქტორებს სამშვიდობო და ჰუმანური პოლიტიკის გატარებისკენ მოვუწოდებთ.

ჩვენ მოვუწოდებთ:

**საქართველოს მთავრობას**

ზედმიწევნით **დაიცვას** ნეიტრალიტეტი შექმნილ დაპირისპირებაში და შესაძლებლობების ფარგლებში მიიღოს ჰუმანიტარული და სხვა ზომები დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობის მხარდასაჭერად ორივე ქვეყანაში;

უკეთ **გაიაზროს** რეგიონში მშვიდობის მხარდაჭერის პროცესში საკუთარი როლი და აქტიური ნაბიჯები **გადადგას** მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესის დაწყების ხელშეწყობისთვის;

**გაატაროს** სათანადო პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებები სამხედრო და პოლიტიკურ დაძაბულობასთან დაკავშირებული განწყობების და სენტიმენტების საქართველოში გადმოტანისგან შეკავების მიზნით.

**აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებს**

დაუყოვნებლივ **მიიღონ** ზომები სამხედრო დაპირისპირების შესაჩერებლად და იმუშაონ კონფლიქტის და დაძაბულობის მშვიდობიანი პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით გადასაჭრელად;

**რუსეთისა და თურქეთის მთავრობებს**

არ მიიღონ მონაწილეობა შექმნილ სამხედრო დაპირისპირებაში და საკუთარი ინტერვენციით კიდევ უფრო მეტად არ გააღრმავონ შექმნილი სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტი და რეგიონში არსებული დაძაბულობა;

**საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, გაეროს, ეუთოს, ნატოს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირს**

მიიღონ უფრო ეფექტიანი და პირდაპირი ზომები ცეცხლის შეწყვეტის მიზნით და შეიმუშაონ უფრო ქმედითი სტრატეგიები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი და პოლიტიკური გადაწყვეტის ხელშეწყობისთვის.

**საქართველოში მოქმედ მედია საშუალებებს**

შეიარაღებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებული მოვლენები გააშუქონ მაქსიმალურად ნეიტრალურად და გაითვალისწინონ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების ფაქტორი საქართველოში.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

- **ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)**
- **კავკასიური სახლი**
- **ადამიანის უფლებათა ცენტრი**
- **ჩართულობის და განვითარების ცენტრი**
- **ღია საზოგადოების ფონდი**
- **თანასწორობის მოძრაობა**
- **კავშირი საფარი**
- **სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)**
- **საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის (IPHR)**
- **ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი**
- **ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)**
- **ახალგაზრდები დიპლომატიური ჩართულობისათვის**

- მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი (CPCD)
- ქალთა ფონდი საქართველოში
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
- იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"

**ასევე, შეიქმნა პეტიცია, რომელიც ღიაა ხელმომწერებისთვის https://bit.ly/2G5IXMd**

Bir neçə gündür ki, son illərdə Dağlıq Qarabağ ərazisində Azərbaycan və Ermənistan arasında ən güclü silahlı qarşıdurmanın başlanğıcının və münaqişə bölgəsindəki hərbi vəziyyətin həddən artıq gərginləşməsinin şahidi oluruq. Bu gün hər iki dövlətdə hərbi vəziyyət elan edilib və əhalinin kütləvi hərbi səfərbərliyi davam edir. Hər iki dövlət, mülki vətəndaşlar da daxil olmaqla, itkilərinin olduğunu bəyan edib. Beynəlxalq təşkilatların və digər siyasi aktyorların tənqidi açıqlamalarına baxmayaraq, hərbi münaqişənin siyasi danışıqlar çərçivəsinə keçirləməsinə dair əlamətlər və hazırlıq, təəssüf ki, bu günə qədər qeydə alınmayıb.

Biz, Qafqaz xalqları olaraq, qəddar müharibələr, qarşıdurmalar və qaçqınlıq təcrübəsini yaşayırıq. Hər birimiz öz tarixi təcrübələrimizdən bilirik ki, müharibə insanların üzərinə ağır yük olaraq çökür, müahribə insanları yox etmək və yoxsul etmək gücünə malikdir və yalnız ağrı, əzab və məyusluq gətirir. Bölgəmizdə heç bir millət və ya etnos müharibə nəticəsində qələbə və inkişaf əldə etməmişdir.

Bu səbəbdən də biz, yalnız sülh, danışıqlar və əməkdaşlıq siyasətinin bölgəmizə sabitlik və inkişaf gətirəcəyinə inanırıq. Bölgənin müxtəlifliyi, həmişə onu daimi müşayət edən xüsusiyyətlərdən biri olmuşdur. Ultra milliyyətçilik, etno milliyyətçilik və şovinizm müstəvisində, bir-birimizdən ayrılmağımız və uzaq düşməmiz üçün etnoslar və ölkələr arasındakı fərqlərdən sanki bunlar aramızda aşılmaz bir maneəymiş kimi istifadə olunur. Müxtəlifliyin dəyərini dərk etmək və ondan birləşmək üçün istifadə etmək olduqca vacibdir. Eyni zamanda, şovinist ritorikada bu bölgənin xalqlarını birləşdirən xüsusiyyətlərə çox vaxt yer verilməməkdədir - bizim fərqliliklərdən daha çox ortaq cəhətlərimiz var. Biz həmişə siyasi, mədəni, sosial, humanitar baxımdan bir-birimizə dəstək və şərik olmaq prosesindəyik və müharibənin

nəticələrini və ağrılarını da birlikdə bölüşürük. Çətin bir geosiyasi müstəvidə, Qafqazda sülhün və sabitliyin qorunması, ayrı-ayrı ölkələrin və bütövlükdə bölgənin inkişafı üçün mühüm bir şərtdir və bu həqiqət hökumətlər tərəfindən pozulmamalıdır.

Vətəndaşlar olaraq, sülhün və uyğun olaraq, insan həyatının üstün dəyərinlərini dərk etməli, xalqa qarşı koranə silah, köləlik və basqı məqsədləri güdən etno-millətçilik, şovinizm və militarizm ideyalarının arxasınca getməməliyik. Gürcüstan vətəndaşları, etnik azərbaycanlılar , etnik ermənilər və digər etnik icmaların fəalları da daxil olmaqla, biz, Gürcüstanda fəaliyyət göstərən qeyri-hökumət təşkilatları sülh, humanizm və həmrəyliyin tərəfini tutur, bölgədəki hökumətləri və beynəlxalq aktyorları dinc və humanitar siyasət yeritməyə çağırırıq.

Biz tələb edirik ki,

**Gürcüstan hökuməti**

Yaranan münaqişədə bitərəfliyi ciddi şəkildə qorumağa və mümkün qədər hər iki ölkədə zərər çəkmiş mülki əhaliyə dəstək olmaq üçün humanitar və digər tədbirlər görsün;

Bölgədəki sülhə dəstək prosesindəki rolunu daha yaxşı dərk etsin və tərəflər arasında danışıqlar prosesinin başlamasını asanlaşdırmaq üçün aktiv addımlar atsın;

Hərbi və siyasi gərginliklə bağlı əmələ gələn duyğular və sentimentlərin Gürcüstana da sıçramasının qarşısını almaq məqsədiylə uyğun siyasi və mədəni tədbirlər həyata keçirsin.

**Azərbaycan və Ermənistan hökumətləri**

Hərbi qarşıdurmaları dayandırmaq və konflikt və gərginliyin dinc siyasi danışıqlar yolu ilə həll etmək üçün dərhal uyğun addımlar atsın;

**Rusiya və Türkiyə hökümətləri**

Yaranan hərbi qarşıdurmada iştirak edərəkdən və vəziyyətə müdaxilə edərəkdən bölgədəki hərbi və siyasi qarşıdurmanı və gərginliyi dərinləşdirməsinlər;

**BMT, ATƏT, NATO, Avropa Şurası, Avropa Birliyi kimi beynəlxalq təşkilatlar**

Atəşkəsin dayandırılması üçün daha təsirli və birbaşa tədbirlər alsınlar və Dağlıq

Qarabağ münaqişəsinin sülh və siyasi yolla həllinə kömək etmək üçün daha təsirli strategiyalar hazırlasınlar;

**Gürcüstanda fəaliyyət göstərən media qurumlar**

Silahlı münaqişə ilə bağlı hadisələri mümkün qədər neytral şəkildə işıqlandırsınlar və Gürcüstanda yerli etnik azlıqlar amilini nəzərə alsınlar.

Արդեն մի քանի օր է, ինչ մենք ականատես ենք լինում վերջին տարիներին Լեռնային Ղարաբաղում՝ Ադրբեջանի և Հայաստանի միջև ամենաբարդ զինված առճակատի մեկնարկին և հակամարտության գոտում ռազմական իրավիճակի ծայրահեղ սրմանը: Այսօր երկու պետություններում էլ ռազմական դրություն է հայտարարված, և ընթանում է բնակչության զանգվածային ռազմական մոբիլիզացում: Երկու պետություններն էլ հայտնում են զոհերի մասին, այդ թվում՝ խաղաղ բնակիչների շրջանում: Չնայած միջազգային կազմակերպությունների և այլ դերակատարների քննադատական [illegible] [illegible] ռազմական կոնֆլիկտի քաղաքակ բանակցությունների դաշտ մտցնելու նշաններ և պատրաստակամություն, ցավոք, մինչ այժմ չենք տեսել:

Մենք՝ Կովկասի տարածաշրջանի ժողովուրդներս, ունենք դաժան պատերազմների, հակամարտությունների և փախստականության ամենադժվար փորձը: Մենք բոլորս մեր սեփական պատմական փորձից գիտակցել ենք, որ պատերազմը ճնշում է գործադրում մարդկանց վրա, նրանց ոչնչացնելու և աղքատացնելու զորություն ունի և միայն բերում է ցավ, տառապանք ու հիասթափություն: Մեր տարածաշրջանում ոչ մի ժողովուրդ կամ էթնոս պատերազմի արդյունքում հաղթանակի և զարգացման չի հասել: Այդ պատճառով մենք հավատում ենք, որ միայն խաղաղության, բանակցությունների և համագործակցության քաղաքականությունը կբերի մեր տարածաշրջանին կայունություն և զարգացում :

Մեր տարածաշրջանի մշտական [illegible] [illegible] միշտ եղել է բազմազանությունը: Ուլտրա-ազգայնականության, էթնոնացիոնալիզմի և շովինիզմի համատեքստում էթնոսների և երկրների միջև տարբերությունները օգտագործվում են մեր առանձնացման և տարանջատման համար, կարծես այդ տարբերությունները անհաղթահարելի խոչնդոտ են մեր միջև: Կարևոր է

հասկանալ բազմազանության արժեքը և օգտագործել այն միավորման համար: Միևնույն ժամանակ, շովինիստական [illegible] մեջ հաճախ լիովին բաց են թողնված այն [illegible] որոնք միավորում են այս տարածաշրջանի ժողովուրդներին. Մենք ավելի շատ ընդհանրություններ ունենք, քան` տարբերակում: Մենք անընդհատ գտնվում ենք քաղաքական, մշակութային, սոցիալական, մարդասիրական աջակցության և փոխանակման գործընթացում, և պատերազմի հետևանքներն ու ցավը նույնպես հաճախ կիսում ենք միմյանց հետ: Աշխարհաքաղաքական բարդ համատեքստում Կովկասում խաղաղության և կայունության պահպանումը առանձին երկրների և ամբողջ տարածաշրջանի զարգացման նախապայմանն է, և այդ փաստը չպետք է խախտվի կառավարությունների կողմից:

Կարևոր է խաղաղության, հետևաբար մարդկային կյանքի գերագույն արժեքը հասկանանք նաև քաղաքացիներս, չհետևենք էթնո-ազգայնականության, շովինիզմի և ռազմատենչության գերակշռող գաղափարներին, որոնք ժողովուրդների դեմ օգտագործվում են որպես կույր զենք, ստրկացնելու և գերելու համար:

Մենք` Վրաստանում գործող հասարակական կազմակերպություններս, այդ թվում Վրաստանի քաղաքացի էթնիկ ադրբեջանցիները և հայերը, ինչպես նաև այլ էթնիկ համայնքների ակտիվիստներ, միասին կանգնած ենք հանուն խաղաղության, մարդասիրության և համերաշխության, և կոչ ենք անում մեր տարածաշրջանի կառավարություններին և միջազգային դերակատարներին վարել խաղաղ և մարդկային քաղաքականություն:

Մենք կոչ ենք անում.

**Վրաստանի կառավարությանը**

Խստորեն **պահպանել** չեզոքություն ստեղծված հակամարտությունում և հնարավորության սահմաններում ձեռնարկել հումանիտար և այլ միջոցներ երկու երկրներում էլ տուժած քաղաքացիական բնակչությանը աջակցելու համար.

Ավելի լավ **հասկանալ** իր դերը տարածաշրջանում խաղաղության աջակցության գործընթացի մեջ և ակտիվ քայլեր **ձեռնարկել** կողմերի միջև բանակցությունների գործընթացի մեկնարկը հեշտացնելու համար:

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

**Անցկացնել** համապատասխան քաղաքական և մշակութային միջոցառումներ՝ Վրաստանում ռազմական և քաղաքական լարվածության հետ կապված զգացմունքների ու տրամադրությունների տարածումը կանխելու նպատակով:

**Ադրբեջանի և Հայաստանի կառավարություններին**

Անհապաղ քայլեր ձեռնարկել ռազմական առճակատումը դադարեցնելու ուղղությամբ և աշխատել խաղաղ քաղաքական բանակցությունների միջոցով կարգավորել հակամարտությունն և լարվածությունը:

**Ռուսաստանի և Թուրքիայի կառավարություններին**

Չմասնակցել ստեղծված ռազմական առճակատմանը և իրենց միջամտությամբ չխորացնել ստեղծված ռազմական և քաղաքական բախումն ու տարածաշրջանում ստեղծված լարվածությունը.

**Միջազգային կազմակերպություններին, այդ թվում՝ ՄԱԿ-ին, ԵԱՀԿ-ին, ՆԱՏՕ-ին, Եվրոպայի խորհրդին և Եվրամիությանը**

Ձեռնարկել ավելի արդյունավետ և անմիջական միջոցներ հրադադարի ռեժիմի դադարեցման համար և մշակել ավելի արդյունավետ ռազմավարություններ՝ Լեռնային Ղարաբաղի հակամարտության խաղաղ և քաղաքական լուծմանը նպաստելու համար:

**Վրաստանում գործող լրատվամիջոցներին**

Զինված հակամարտության հետ կապված իրադարձությունները հնարավորինս չեզոք լուսաբանել և հաշվի առնել Վրաստանում տեղական էթնիկ փոքրամասնությունների գործոնը: